ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5008365121

16/12/2021 წ.

5008365121

"ქართული ფილმის განვითარების ფონდი"-ს
დირექტორს ბატონ იოსებ ბაღათურიას

(თბილისი, აღმაშენებლის 164)

ბატონო იოსებ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2021 წლის 2 დეკემბრის რეგისტრაციის N1008725521) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N008626221 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 18 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ მურღულია
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600. ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5008365121

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 17.12.2021 (ხელმოწერა) გ.ა

008626221

ექსპერტის დასკვნა № 008626221

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ქართული ფილმის განვითარების ფონდი

თანამდებობა: ფონდის დირექტორი

მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის 164

სახელი და გვარი: იოსებ ბაღათურია

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ლევან ჩოფიკაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 14 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე შენობა ნაგებობები. გთხოვთ, ჩაუტაროთ საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზა შენობა #46/3 და გასცეთ პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. როგორია შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მისი მდგრადობის ხარისხი.

2. აღენიშნება თუ არა მითითებულ შენობას კონსტრუქციული დაზიანებები.

3. დასაშვებია თუ არა შემოწმებული შენობის ექსპლუატაცია.

შემოსვლის თარიღი: 02/12/2021 წ

გასვლის თარიღი: 16/12/2021 წ

დასკვნა

დასმულ კითხვებზე პასუხი შემდეგია:

1. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობა #46/3-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ხანდაზმულობიდან და მოუვლელობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობის კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ძლიერი ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა. ბზართა უმეტესობის მოხაზულობიდან გამომდინარე შენობას მიღებული აქვს ჯდენითი დეფორმაციები, რის გამოც დაზიანებულია შენობის მზიდი კედლები, ხოლო მისი ცალკეული უბნები იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და მათი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. წარსულში ჩატარებული გამაგრება-გაძლიერებითი ღონისძიებების მიუხედავათ შენობაზე არსებული დაზიანებები მაინც პროგრესირებს. დასკვნის კვლევით ნაწილში აღწერილი დაზიანებებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილ შენობას მიღებული აქვს III ხარისხის დაზიანებები (საექსპლუატაციო ვარგისიანობის II კატეგორია), რაც დაზიანებების შეფასების მიღებული კლასიფიკაციით ნიშნავს საშუალო დაზიანებებს, მისი მდგომარეობა ფასდება არადამაკმაყოფილებლად და ექვემდებარება კაპიტალურ გამაგრებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე

დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

2. იხილეთ 1 პასუხი.

3. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებულ შენობა #46/3-ს, მართალია ამ ეტაპზე მყისიერი ნგრევის საშიშროება არ ემუქრება, თუმცა მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა შენობას ჩაუტარდეს კაპიტალური გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ლევან ჩოფიკაშვილი

გამოკვლევა

ჩვენს მიერ ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებული შენობა #46/3 ტექნიკური მდგომარეობის და შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით. შენობა სამსართულიანია, უსარდაფო, აშენებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში და განლაგებულია სწორ რელიეფზე (ფოტო 1-:-4). თავდაპირველად შენობის ნაწილი იყო ორსართულიანი, რომელზეც გასული საუკუნის 50-იან წლებში მოეწყო მესამე სართულის დაშენება. შენობის კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია დუღაბზე ნაშენი გრძივი და განივი მზიდი კედლებით, ამოყვანილი ტუფის ქვის წყობით, რომლებიც სისქეში 60-65 სმ-ია. დაშენებული სართულის კონსტრუქციულ სქემასაც დუღაბზე ნაშენი 40 სმ სისქის გრძივი და განივი მზიდი კედლები წარმოადგენს, რომლებიც შესრულებულია წითელი აგურის წყობით. აგურის კედლებზე, ღიობების თავის დონეში მოწყობილია რკინაბეტონის სარტყელი (ფოტო 5). შენობაში მოწყობილია სამი პავილიონი, რომელთაგან ერთის სიმაღლეა 6.80 მ და გადახურულია ხის კოჭებით (ფოტო 6), ხოლო ორის სიმაღლეა 10.0 მ და გადახურულია ხის ფერმებით (ფოტო 7). სართულშუა გადახურვები ხისაა, ხოლო სველი წერტილების ადგილებში მოწყობილია რკინაბეტონის მონოლითური ფილები (ფოტო 8). პირველი სართულის სიმაღლე იატაკიდან ჭერის კონსტრუქციამდე 3.40 მ-ია, მეორე სართულის სიმაღლე შეადგენს 3.50 მ, ხოლო მესამე სართულის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3.65 მ-ია. შენობაში მოწყობილია ერთი კიბის უჯრედი, ხოლო კიბის კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის კოჭებზე მოწყობილი ბეტონის ანაკრები საფეხურები (ფოტო 9). სახურავის ბურულს წარმოადგენს ხის კოჭებზე მოწყობილი თუნუქის ფენილი. კინოსტუდიის წარმომადგენელთა გადმოცემით, აღნიშნულ შენობას გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩაუტარდა გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, რა დროსაც მოხდა საძირკვლების გამაგრება შებეტონებით და შენობის გრძივ და განივ კედლებზე სამივე სართულზე მოეწყო ლითონის ჭიმები (ფოტო 10-:-14).

შენობის ვიზუალური შესწავლისას დაფიქსირდა შემდეგი სახის ხარვეზები და დაზიანებები: შენობის პერიმეტრზე არ არის მოწყობილი შემონაკირწყლი, რაც ხელს უწყობს ზედაპირული წყლების ჩადინებას შენობის საძირკველსა და ფუძეში (ფოტო 15-:-18); შენობაზე ჟოლობების ნაწილი არაჯეროვნადაა მოწყობილი, ხოლო ნაწილი დაზიანებული და ამორტიზირებულია, რის გამოც ატმოსფერული ნალექების დროს ხდება შენობის მზიდი კედლების დასველება და წყალი ჩაედინება საძირკველსა და ფუძეში (ფოტო 19-:-23); აღნიშნულის გამო საძირკვლები და კედლები იმყოფება ტენიან გარემოში და მათზე ამოსულია მცენარეები (ფოტო 24-:-29); პირველი სართულის კედლებზე, ძირითადად გრუნტთან და იატაკთან შეხების ზონებში, ფიქსირდება დანესტიანების კვალი, რის გამოც ჩამოცვენილია ნალესის ფენა, ხოლო დუღაბი გამოფიტულია და ხელით იშლება (ფოტო 30-:-34); შენობის სამივე სართულზე ფიქსირდება მრავლობითი, ჯდენითი დეფორმაციებისათვის დამახასიათებელი ბზარები, როგორც ფასადის (ფოტო 35-:-45), ასევე შიდა კედლებზეც (ფოტო 46-:-49); შენობის უკანა ფასადზე, ტუფის ქვით მოწყობილი პილონები ატმოსფერული მოვლენების ზემოქმედებით ძლიერ დაზიანებულია და მათი არსებული სახით დატოვება საფრთხის შემცველია (ფოტო 50-:-53); შენობის ფასადზე მოწყობილი აივნის რკ/ბეტონის ფილაზე ფიქსირდება დანესტიანების და გამოტუტვის ნიშნები, ხოლო აივნის ლითონის კოჭები ძლიერ კოროზირებულია (ფოტო 54; 55); დაზიანებული სახურავიდან შენობაში შემომავალი ატმოსფერული ნალექების გამო პავილიონების კედლებზე ფიქსირდება დანესტიანების კვალი (ფოტო 56) და დაზიანებულია ხის ფერმები და ჭერის კონსტრუქცია (ფოტო 7); შენობის ტორსულ კედელზე მოწყობილი საკანალიზაციო ქსელიდან დაღვრილი წყლების გამო სველდება მზიდი კედელი (ფოტო 57); შენობის მესამე სართულზე იატაის ხის გადახურვები ამორტიზირებულია და მათზე სიარულისას ვიბრირებს. ხანდაზმულობიდან და მოუვლელობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობის კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ძლიერი ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა. ბზართა უმეტესობის მოხაზულობიდან გამომდინარე შენობას მიღებული აქვს ჯდენითი დეფორმაციები. წარსულში ჩატარებული გამაგრება-გაძლიერებითი ღონისძიებების მიუხედავათ შენობაზე არსებული დაზიანებები მაინც პროგრესირებს. ყველა ზემოთაღნიშნული დაზიანებებიდან გამომდინარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ამრიგად, დასმულ კითხვებზე პასუხი შემდეგია:

1. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში

არსებული შენობა #46/3-ის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ხანდაზმულობიდან და მოუვლელობიდან გამომდინარე მთლიანობაში შენობის კონსტრუქციებს განცდილი აქვთ ძლიერი ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა. ბზართა უმეტესობის მოხაზულობიდან გამომდინარე შენობას მიღებული აქვს ჯდენითი დეფორმაციები, რის გამოც დაზიანებულია შენობის მზიდი კედლები, ხოლო მისი ცალკეული უბნები იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და მათი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. წარსულში ჩატარებული გამაგრება-გაძლიერებითი ღონისძიებების მიუხედავათ შენობაზე არსებული დაზიანებები მაინც პროგრესირებს. დასკვნის კვლევით ნაწილში აღწერილი დაზიანებებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილ შენობას მიღებული აქვს III ხარისხის დაზიანებები (საექსპლუატაციო ვარგისიანობის II კატეგორია), რაც დაზიანებების შეფასების მიღებული კლასიფიკაციით ნიშნავს საშუალო დაზიანებებს, მისი მდგომარეობა ფასდება არადამაკმაყოფილებლად და ექვემდებარება კაპიტალურ გამაგრებას დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

2. იხილეთ 1 პასუხი.

3. ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის გამზ. #164-ში მდებარე, ა(ა)იპ ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაში არსებულ შენობა #46/3-ს, მართალია ამ ეტაპზე მყისიერი ნგრევის საშიშროება არ ემუქრება, თუმცა მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭიროა შენობას ჩაუტარდეს კაპიტალური გამაგრება-გაძლიერებითი სამუშაოები, დეტალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ლევან ჩოფიკაშვილი

გამოყენებული მასალები

1. СП-13-102-2003 შენობა ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის წესები.

2. პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09

3. СНиП 2-03. 01-84* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.

4. СНиП 2-01. 07-85* დატვირთვები და ზემოქმედება.

5. „ევროპის მაკროსეისმური სკალა 1998". ლუქსემბურგი 1998 წ.

6. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

008626221

ექსპერტის დასკვნა № 008626221

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12



ფოტო 13



ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27



ფოტო 28



ფოტო 29



ფოტო 30



ფოტო 31



ფოტო 32



ფოტო 33



ფოტო 34



ფოტო 35



ფოტო 36



ფოტო 37



ფოტო 38



ფოტო 39



ფოტო 40



ფოტო 41



ფოტო 42



ფოტო 43



ფოტო 44



ფოტო 45



ფოტო 46



ფოტო 47



ფოტო 48



ფოტო 49



ფოტო 50



ფოტო 51



ფოტო 52



ფოტო 53



ფოტო 54



ფოტო 55



ფოტო 56



ფოტო 57